ეკონომიკური განვითარების ეკონომიკური სტატისტიკის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის 2022 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის პერიოდის ანგარიში

2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით სამსახურში შემოვიდა 697 ზე მეტი წერილი აქედან 322 ეკუთვნოდა ეკონომიკის სფეროს, 274 სოფლის მეურნეობის სფეროს, 101 ბუნებრივი რესურსების საკითხს და ქონების განკარგვის კომისიის მიერ განხილულ იქნა 181 საკითხი.

2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მუნიციპალიტეტმა საკუთრებაში მიიღო 6 არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი, ასევე მოხდა 4 სკვერის, 2 ბიბლიოთეკის და 1 ბაშის კულტურის სახლის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრაცია. ასევე დაწყებულია 20 ქონებაზე გადმოცემის პროცედურები.

2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით სამსახურის მიერ 15 ლოტზე გამოცხადდა ელექტრონული აუქციონი აქედან ორი არ შედგა. 2022 წელს აუქციონის შედეგად გაყიდული ქონებიდან მუნიციპალიტეტმა მიიღო 461490 ლარი რომელიც წინა წელთან შედარებით 407585 ლარით მეტია. იჯარიდან მუნიციპალიტეტმა წელიწადში უნდა მიიღოს 15000 ლარი.

2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მოხდა 2 ერთეული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის, იჯარით გაცემა, საიდანაც მუნიციპალიტეტმა წლის განმავლობაში უნდა მიიღოს 4400 ლარი

ბუნებრივი რესურსების კარიერებთან დაკავშირებით საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესუსების სამინისტროს თხოვნის საფუძველზე გაიცა 27 რეკომენდაცია. ჯამურად თანხმობა გაცემულია 4 100 000 კუბამეტრ ქვიშა-ხრეშზე რომლის სალიცენზიო მოსაკრებლიდან შემოსავალი შეადგენს 820 000 ლარს სალიცენზიო პერიოდის განმავლობაში

47 ერთეულ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთს შეეცვალა კატეგორია და გადაყვანილ იქნა არასასოფლოში,რითაც განმცხადებლებს მიეცათ შესაძლებლობა განახორციელონ სხვადასხვა კომერციული პროექტები. 92ჰა სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი დარეგისტრირდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რომლის საბალანსო ღირებულებამ შეადგინა 478 000 ლარი.

მუნიციპალიტეტის მიერ გაქირავებული ბოძების სანაცვლოდ, შესაბამისი ინტერნეტპროვაიდერის მიერ პოლიციის მიმდებარედ მოწყობილ ახალ სკვერში

მიმდინარეობდა ინტერნეტის შეყვანა რითაც მოხდებოდა პარკით მოსარგებლეთათვის უფასო WiFi მიწოდება აღნიშნული პროექტი დასრულებულია.

ასევე დასრულდა ინვენტარიზაციაზე მუშაობა რომლითაც მოწესრიგდა მუნიციპალური ქონების აღრიცხვიანობა.